სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ბრიტანეთისმცოდნეობა/British Studies.

პროგრამა მომზადებულია დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე (Benchmark Statements – Languages and Related Studies) http://www.qaa.ac.uk/academicinfrastructure/benchmark/honours/

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბრიტანეთისმცოდნეობის მაგისტრი/ MA in British Studies

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მანანა რუსიეშვილი
კონსულტანტი: ასოც. პროფ. თინათინ მარგალიტაძე

4. პროგრამის ანალოგი
http://www.uni-vt.bg/2/?zid=6&c=str
University of Warwick
Centre for British and Comparative Cultural Studies
Centre for British Studies at Humboldt-Universität zu Berlin
MA in British Cultural Studies and English Language Teaching

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზანი – უცხო ენებისა და ქვეყნების შესწავლის მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. უცხო ენის ცოდნისა და გამოყენების უნარი უაღრესად ფასეულია როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის. უცხო ენების ცოდნის მნიშვნელობა დასაქმებაზეც აისახება. ჰუმანიტარული დარგების კურსდამთავრებულთა შორის, უცხო ენების ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს დასაქმების ყველაზე მაღალი პროცენტი აქვთ. ენები უაღრესად დიდ როლს თამაშობენ ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებათა კულტურის თუ ეროვნული ცნობიერების ჩაწვდომის საქმეში. ენების ცოდნა არის სწორედ ის გასაღები, რაც ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას უწყობს ხელს.
ენებისა და საზოგადოებების მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო, ენათა შესწავლა საუნივერსიტეტო დონეზე მულტიდისციპლინარული სასწავლო პროცესია, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტერატურულ, კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისტორიულ თუ სხვა ასპექტებს.
წინამდებარე მულტიდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის შექმნა ნაკარნახევია ენების შესწავლისადმი სწორედ ამგვარი თანამედროვე მიდგომით.
ამასთან ერთად, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის შექმნის მიზანი ჩვენი ქვეყნის განვითარების პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიაცაა. საქართველო ისწრაფვის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისაკენ და სურს გახდეს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების აქტიური წევრი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სჭირდება სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ სხვადასხვა ქვეყნების კულტურასა და საზოგადოებას.
ამრიგად, ბრიტანეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დანერგვა პასუხობს თანამედროვე პრიორიტეტულ პრობლემატიკას, აქტუალურია იმიტომაც, რომ

მაგისტრანტს აძლევს ფართო მულტიდისციპლინარული კვლევის საშუალებას, ზრდის მისი კომპეტენციის დონესა და ხარისხს, რითაც აფართოვებს მისი მომავალი დასაქმების შესაძლებლობებს.
აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა საშუალებას მისცემს მაგისტრანტს მიიღოს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანეთის
ისტორიის, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის, კულტურული და ეთნიკური თავისებურებების შესახებ, ბრიტანეთის ადგილისა და მისი მისიის შესახებ ზოგადევროპულ კონტექსტში. Gგარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია ინგლისური ენის ცოდნის სრულყოფა და, მაგისტრანტის მიერ არჩეული მეორე უცხო ენის შესწავლა.
პროგრამის სტრუქტურა სავსებით პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს (იხ. Languages and related studies) და ინგლისური ენა განიხილება არა როგორც მხოლოდ პრაქტიკულად დასაუფლებელი სასწავლო საგანი (ამას ემსახურება მისთვის გამოყოფილი 15 კრედიტი, მოდულის დასრულების შემდეგ მაგისტრანტის პრაქტიკული ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა პასუხობდეს C1 დონეს), არამედ როგორც გასაღები და საშუალება ბრიტანული კულტურის, ბრიტანეთის ისტორიისა თუ საზოგადოების კანონზომიერებების შესასწავლად.

ბ) სწავლის შედეგები – სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტებს ეცოდინებათ ინგლისური ენა C1 დონეზე, შეისწავლიან მათთვის სასურველ მეორე უცხო ენას.
ამასთან ერთად, მაგისტრანტებს ექნებათ:

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თანამედროვე ბრიტანეთისა და ზოგადად ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი ინსიტუტების მოწყობის შესახებ;
- საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანული ლიტერატურის, ხელოვნებისა და თანამედროვე ბრიტანული საზოგადოების კულტურულ-ეთნიკური შემადგენლობისა და პრობლემატიკის შესახებ;
- საფუძვლიანი ცოდნა ბრიტანეთის როლისა და მისიის შესახებ ევროპულ კონტექსტში;
- ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატიკის შესახებ მსჯელობის, დასაბუთების, პრობლემის კრიტიკული შეფასების უნარი;
- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბრიტანული და ქართული კულტურების შედარებისათვის;
- ბრიტანეთის კულტურის უნიკალურობის აღქმისა და შეფასების უნარი;
- მნიშვნელოვანი ცოდნა ბრიტანული კულტურის წვლილის შესახებ ევროპულ და გლობალურ დონეზე;
- უნარი ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, მიღებული ცოდნის დახმარებით, ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, კონცეფცია, რომელიც დაეყრდნობა სხვადასხვა პარამეტრების ანალიზის შედეგებს;
- პროფესიული დასკვნების საჯარო წარდგენის უნარი;
- სხვა ექსპერტებთან თანამშრომლობის უნარი.

გ) დასაქმების სფეროები – სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მიღებული კვალიფიკაცია და ენების ცოდნის მაღალი დონე კურსდამთავრებულს დასაქმების მრავალ შესაძლებლობას უქმნის. კერძოდ, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

* საგარეო საქმეთა სამინისტროში;
* საელჩოებში;
* სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში;
* კერძო სექტორსა და ბიზნეს სტრუქტურებში;
* არასამთავრობო ორგანიზაციებში;
* მასმედიასა და საინფორმაციო ცენტრებში;
* საერთაშორისო ორგანიზაციებში;
* დაკავდეს მთარგმნელობითი საქმიანობით;
* გააგრძელოს კვლევითი მუშაობა.
*სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში გარდა აკადემიური თანამდებობებისა

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს
* უნდა ჰქონდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ფილოლოგიაში, ისტორიაში; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
* წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საერთო-სამაგისტრო გამოცდა;
* კანდიდიატს ასევე მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რაც დადასტურდება სათანადო სერტიფიკატის წარმოდგენით ან კანდიდატებთან ზეპირი გასაუბრებით წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან. Aაქედან სასპეციალიზაციო საგნებისათვის განსაზღვრულია 60 კრედიტი, რომლებიც ნაწილდება სამ სემესტრზე; 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც მაგისტრანტი მეოთხე სემესტრის ბოლოს იცავს. დანარჩენი 30 კრედიტი სტუდენტს ეძლევა არჩევითი საგნებისათვის. მაგისტრანტის ინტერესების სფეროდან გამომდინრე, მას შეიძლება შეეთავაზოს არჩევითი საგნები ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან, ევროპამცოდნეობის სამაგისტრო პროგრამიდან, სოციალური კვლევების ცენტრის სამაგისტრო პროგრამებიდან "გენდერის კვლევები" და "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში".

ბრიტანეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ჩამონათვალი:

სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო საგნები:

1. ინგლისური ენა - 15 კრედიტი (5 კრედიტი I სემესტრში, 5 – მეორე სემესტრში, 5 – მესამე სემესტრში);
2. თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკა – 5 კრედიტი;
3. დიდი ბრიტანეთის ისტორია (ინგლისურ ენაზე) – 5 კრედიტი;
4. თანამედროვე ბრიტანეთის საზოგადოება და საზოგადოებრივი
1. ინსტიტუტები – 5 კრედიტი;
5. ევროპის ისტორია. XX საუკუნე. დისინტეგრაციიდან ევროპულ ინტეგრაციამდე – 5 კრედიტი;
6. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური პოლიტიკა – 5 კრედიტი;
7. დიდი ბრიტანეთის კულტურა (წარსული და დღევანდელობა) – 5 კრედიტი;
8. საერთო გერმანიკულიდან თანამედროვე ინგლისურ ენამდე – 5 კრედიტი;
9. ბრიტანულ- ქართული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობები – 5 კრედიტი;
10. ინგლისური ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსი (ინგლისურ ენაზე) – 5 კრედიტი.

ბრიტანეთმცოდნეობის მოდულისათვის არჩევითი საგნები: **30 კრედიტი** (**სემესტრში 10 კრედიტი)**

1. მეორე უცხო ენა 10 კრედიტი (I და II სემესტრები 5+5)

2. არჩევითი საგნები:

I სემესტრი:
1. ქალი მისტიკოსები და შუა საუკუნეების ევროპული მენტალობა (სოციალური კვლევების ცენტრის სამაგისტრო პროგრამიდან "გენდერის კვლევები");
2. ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში (ინგლისურ ენაზე) (სოციალური კვლევების ცენტრის სამაგისტრო პროგრამიდან "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში");

II სემესტრი:
1. ჩოსერიდან შექსპირამდე (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან);
2. კულტურა და იდენტობა (სოციალური კვლევების ცენტრის სამაგისტრო პროგრამიდან "გენდერის კვლევები");

III სემესტრი:
1. სოციოლინგვისტიკა (ინგლისურ ენაზე) (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან);
2. შექსპირის შემოქმედება და 20-ე საუკუნის ლიტერატურული პროცესები (ინგლისურ ენაზე) (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან);
3. გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში (სოციალური კვლევების ცენტრის სამაგისტრო პროგრამიდან "გენდერის კვლევები").

საგნების სილაბუსები
საგნების სილაბუსები იხ. სტუდენტურ ბაზაში

კვლევითი კომპონენტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი თემატიკა შეირჩევა ბრიტანეთის პოლიტიკის, კულტურისა და ისტორიის საინტერესო და აქტუალური საკითხებიდან. წახალისდება ინტერდისციპლინარული სამაგისტრო ნაშრომები.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა ეყრდნობოდეს მაგისტრანტის ორიგინალურ კვლევას. კვლევის მეთოდების ადეკვატურ გამოყენებასაც ასევე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მაგისტრანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის ყველა პირობა იქნება შექმნილი. მათ ხელთ იქნება როგორც ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უმდიდრესი ფონდი, ასევე ბრიტანეთის საბჭოსა და ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის რესურს- ცენტრები, სოციალური კვლევების ცენტრისა და ევროპამცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკები.

ფორმა 1

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	ინგლისური ენა	სავალდებულო	15
2.	დიდი ბრიტანეთის ისტორია	სავალდებულო	5
3.	თანამედროვე ბრიტანეთის საზოგადოება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები	სავალდებულო	5
4.	ევროპის ისტორია. XX საუკუნე. დისინტეგრაციიდან ევროპულ ინტეგრაციამდე	სავალდებულო	5
5.	ბრიტანულ- ქართული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობები	სავალდებულო	5
6.	თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკა	სავალდებულო	5
7.	დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური პოლიტიკა	სავალდებულო	5
8.	დიდი ბრიტანეთის კულტურა (წარსული და დღევანდელობა)	სავალდებულო	5
9.	საერთო გერმანიკულიდან თანამედროვე ინგლისურ ენამდე	სავალდებულო	5
10.	ინგლისური ლიტერატურის მოკლე კურსი (ინგლისურ ენაზე)	სავალდებულო	5
11.	მეორე უცხო ენა	არჩევითი	10
12.	ჩოსერიდან შექსპირამდე	არჩევითი	5
13.	სოციოლინგვისტიკა	არჩევითი	5
14.	შექსპირის შემოქმედება და 20-ე საუკუნის ლიტერატურული პროცესები	არჩევითი	5
15.	ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში	არჩევითი	5
16.	კულტურა და იდენტობა	არჩევითი	5
17.	გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში	არჩევითი	5
18.	ქალი მისტიკოსები და შუა საუკუნეების ევროპული მენტალობა	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი		
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩატარდება ბრიტანეთისმცოდნეობის შესავალში, წერითი სახით და შეფასდება 100 ქულიანი სისტემით.

საგამოცდო თემები

1. Politics: British Political System; Government: the Cabinet and the Prime Minister; central and local government; Parliament: the structure and the function;
2. Monarchy: the appearance and the reality; the role of the monarchy and its value for the nation;
3. History: 1) History of Pre-Germanic Britain;
   2) History of Britain in the Early and Late Middle Ages;
4. Religion: History of English Reformation; Anglicanism, Catholicism and other conventional Christian churches;
5. Britain in the European Context: Britain and the politics of European Union.

ლიტერატურა:

1. O'Driscoll, J., *Britain: The Country and its People*, OUP, 1995;
2. History of Britain. David McDowall. Longman, 1995;
3. The European Union and British Politics by Andrew Geddes, Palgrave, Macmillan, 2004;
4. High Chr. Religion, Politics and Society of England under the Tudors, Oxford, 1993.

კონსულტაციებისათვის გამოცდასთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ასოც. პროფ. თინათინ მარგალიტაძეს
e-mail: tinatin@margaliti.ge
ტელ.: 877 50 67 16

ასოც. პროფ. მანანა რუსიეშვილს
e-mail: manana_rusieshvili@yahoo.co.uk
ტელ.: 899 16 83 39